

კ ვ ა ლ ი



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახტამიანი გაზეთი: გამოდის ქრემელ კვირა ღღს.
№ 48 6 ო კ მ ბ რ ი 16 1897 წ. **№ 48**

შინაარსი: კავკასიის რკინის გზის უწყის-რი გობა გ. წერეთლისა. — სხვა-და-სხვა ამბები. — სომხური თეატრი დ. ტ. — და-ისა. ქუთაისის მაცხანე ქუთათურა. მემბრ-ანესი. — რა აღ გ ღ ი უჭირავს ფილანტროპი ზღაპარს (ლესვიჩის ლექციის გამო) პ. ს. — მისა. — ვიციანი? ლექსი ფან-დასა. — ატ-ლია. — სიკეთის განმარტება (ზნეობით ფილოსოფია ვ. ს. სლოკოვიკის) გრ. ნ. ერის-თავისა. — ათი მცნება (მოკლე ამბავი) გ. წერეთლისა. — მგზავრის შენიშვნები (გაგრძელება) ფ. პატრიშვილისა. — საქველ-მოქ-მელო საქმე. — შევდომის გასწორება და განცხადებები.

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახტამიანი გაზეთი

კავკასიის რკინის გზის უწყის-რიგობა

„კ ვ ა ლ ი“

გამოუა 1898 წელს ყოველ კვირაში ერთსელ ერ-თიდან სამ თამხამდე

„კვალის“ რედაქციის მუდმივ თანამშრო-მელთაბას და რედაქციის მართავას 1 იანვრი-დან 1898 წ. იკისრებს ბ. ნიე უორდანია.

გაზეთი წლიურათ ღირს გაუზავენელათ 7 მანე-თათ, ხოლო გაგზავნით 8 მანეთ. ნახევარი წლით გაუზავენელათ 3 მან. 50 კაპ., გაგზავნით 4 მანეთ. სამი თეთი გაუზავენელათ 2 მანეთ., გაგზავნით 2 მ. 50 კ. ო თონო ნომერი სამ შაურათ. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიათ ნაწილ-ნაწილიათ გამოგზავნიან ამ წლის გასულს დაფრიგდება პრემია „ჩვენი ძველი გმირები“ 1891 წლის იმ ხელის მომწერლებს, რომელთააც წლის ფული სრულათ აქეთ შემოატანილი.

კისაც კავკასიის რკინის გზის წერილმან მოხე-ლებთან საქმე არ ჰქონია, ის ძნელათ დაი-ჯერებს იმ უწყისობას, ძალმოზრეობას და მწარმოებლის შევიწროებას, რომელიც აფერხებს ბევრ სხვა გარეშე მიზეზებთან კავკასიის აღებ-მიცემობის საქ-მეს. თუ რამდენათ დახელოვნებულნი არიან კავკასიის რკინის გზის წერილმანი მოხელენი მწარმოებლის წვა-ლებაში იმ განზრახვით, რომ რამე შეგლოჯონ, საქო-ნელი გაუჩერონ, მაზანდა დაუკარგონ და ბევრი მხრით აზარალონ, ამის უტყუარ მავალითს თქვენი უქორ-ჩილესი მონა მოგახსენებსო. ერთ ღღს მომდის შო-რაპნიდან შემდეგი ღღებმა: „შორაპნის საღურის ქს-სრამ ბოტკის ხოთ დატერითელი ვაგონები ღაარ მა-ცლევინა, მთხოვს ვაგონობით ფასს, და არა ფუ-თობით, როგორც ჰიათურის საღურითდან „ნაკლად-ნებში“ ჩამიწერეს და როგორც პირადათ მე გაეუ-რიგდი ვადატანას ჰიათურის საღურის უფროსსო, კლის მითი წარმოების გამოე ე-კი“. აზრი ამ ღღებშია, აი, რა არის? ეს ყველამ ეციით, რომ ჰიათურიდან შორაპნამდის ფუთზე ახდევინებენ ორ-

შაურს. ეს იმდენათ დიდი ფასია, რომ ამ ბოლოს დროს ასეთმა საკვირველმა გაზვიადებულმა ტარიფმა სრულიად დასცა მთელი ჭიათურის ქვეყნის წარმოება. თუმცა ხის მასალაზე ეს ფასები მეტისმეტათ დიდაა, მაგრამ მეტი რა ღონე იყო, ამ ფასათ მაინც უნდა გადაეცემა. შორაპნის კასირი არც ამ ფასს დაქაყოფილდა. რადგან ქვე-გუნდის გადმოტანაში ევაგონობით ახდენიერება ფასს, ჩვენც იმ წესით დაგვიწყო თხოვა ბოჭკის ხეებში. უნდა იცოდეთ, რომ ქვე-გუნდა ოცდა-ხუთ ჯელ უფრო შიძინა ხეზე, მაშასადამე ერთ ჭიათურის ევაგონში ქვეგუნდა ორას ორმოცდა ათი ფული ეტევა, მაშინ როდესაც იმავე ევაგონში ხის მასალა (კლიოპეები) ორმოცდა ხუთი ფულის მეტი არ ჩაეგია. ახლა იფიქრეთ, რა ხერხი გვიხერხა შორაპნის სადგურის კასირმა? ორმოცდა ხუთი ფულის მასალა ორას ორმოცდა ათი ფუთათ გვიანგარომა და ამ ზომით დაგვიწყო ფულის, თხოვა ასე რომ ფულით ათი კაპეიკით კი არ გვიხდებოდა, თუმცა ასეთი ტარიფიც ამ საქონელზე აუტანელი იყო, არამედ იმას უნდოდა ფუთში გადაეხდებინებია ჩვენთვის ორმოცდა თექვსმეტი კაპეიკი (ნ მ კ.). მე მაშინვე გავიქეცი ამიერკავკასიის რკინის გზის გამგებანაში, აუხსენიე ყოველივე გარემოება დაწერილობით კომერციული განყოფილების უფროსს ბ-ნ ს-კოს, რომელიც სრულგებთ დარწმუნდა, რომ შორაპნის სადგურის კასირი უწყისთ ირჯებოდა, მით უმეტესათ, რომ ჭიათურის სადგურზე ფუთობით და არა ევაგონობით გაეიკადო ბოჭკის ხის გადმოტანაზე, მაშინ როდესაც შორაპნის სადგურის კასირმა იპირიანა და ევაგონობით განიზხანა ფულის გაღახდებინება, რის უფლებაც მას სრულგებთ არ ჰქონდა. ამისგანა მოს—კიმ მიწერა დეგემა: „ახლათ-ახლად მიეცით მწარმოებელს ბოჭკის ხეები და ფული გამოართვი ფუთობითა*. რა ბძანებაა!... შორაპნის კასირი მაინც თავისას იძახის: არა, ფუთში ორმოცდა თექვსმეტი კაპეიკი უნდა მოგეცეთ გადასატანი ქირაო, რადგან ჩვენი წესია, ევაგონობით უნდა ავიღოთ გადასატანი ქირაო და ჭიათურის უფროსს შეუცდენიხართო. ჩვენ ვუთხრებთ: ეგ ფასი რომ იქ ეთქვათ, ხომ აღარ გადმოეიტანდით, რადგან ურბო გადმოტანა ერთი ოთხათ უფრო ნაკლებ დავგიჯდებოდამეთქი. მაგრამ არა, თქვენც არ მომიკვდეთ! მისაფენი შორაპნის კასირმა და აღარა ეშველა რა: თუ ფუთში ნ მ კაპ. არ მომიცეით, ტერით არ დაგანებებთო. ჩვენ ვუთხარით, ბარემც მთელი ჩვენი საქონელი წაიღეთ, რადგან იმ ფასის გადახდის, ისე მეტი საქონელივე ხელის აღევა გვიჩვენება—თქვა. რაღა ბე-ერი გაეავრძელო, ყოველ დღე თავიქუდმოხლწილ რბენაში შორაპნიდან თფილის ამიერ კავკასიის რკი-

ნის გზის გამგებანაში საჩივრელათ გვიდა ორი კვირა, სანამდის ბ-ნ შორაპნის კასირის დაჯერებულნი მისი უფროსები, რომ ფუთში ათი კაპეიკი ავიღო ჩვენ და არა ორმოცდა თექვსმეტი კაპეიკი, როგორც ის ლამოდა, ევაგონობით რომ ვანგარიშნა. ძლიერძლივობით ბოლოს გვეღირსა ჩვენი საქონლის დახ-ბა ჯიუტის შორაპნის კასირისაგან, მაგრამ რა!... სადკონლოს შესანახი ფული მაინც გადაგება ზედმეტი ხუთ თუმანადის.

ახლა უნდა გიამბოთ, ასეთ საქონლის შეჩერებას და ჩვენ დალაღატანებას რამდენი სხვა უბედურებაც კიდევ ზედ დაერთო. ჩვენ გეკონდა ბოჭკის ხე გაყიდული ბათუმში ათასი ლერი თუთხმეტ თუმნათ; მაგრამ რადგან რკინის გზამ გადატანა სამი კვირით შეგვიერთა, ბათუმში მყ-დეგლმა იმ ფასათ ადირი ში-რილა და ვუთხრა, მაშინ რომ მაშანდა იყო, ახლა ის აღარ არისო; გნებავთ, ათასი ლერი ცამეტ თუმნათ მომიკიდეთ, თეარა საცა გინდათ, წაიღეთო. დაგერჩა საქონელი გადასაყრელათ. ეს კიდევ არაფერი. ამაზე უარესი ამავე კიდევ წინ შეგვახებდრა იმე შორაპნის კასირმა. ჩვენ ვუთხრეთ კასირს, საქონელი გაგზავნა ბათუმ-პორტში და „ნაკლადნობილ“ ასე ჩაეწერა. იმან კი ბათუმ-პორტის მაგერიათ ბათუმ პორტანზე გაეგზავნა, ასე რომ მერე პორტანიდან პორტამდის კიდევ ცალკე ფასი ზედ-მეტი გადაგახდებინეს სამი თუმანი. ბოლოს რათიც იქნა ვიშოვნეთ მიღველიც, გადმოვატვირთვიეთ ბოჭკის ხეები ევაგონებიდან და რა აღმოჩნდა? 1 1/2 ათას ბოჭკის ხეს ექვსასი ლერი აკლდა. ვინ წაიღო ეს ექვსასი ლერი?—უტყველათ ისე, იმ ჩვენი ცოდვით სასეც, კასირმა, რადგან იგივე კასირი გავერიდა შორაპანში ამ საქონლის დავეირთვას დიდი გზის ევაგონებში, თურმე ნუ იტყვით, მას თავისი არტელი ჰყოლებია მუშებდა. რამდენათ კანონიერია ასეთი საქციელი შორაპნის კასირისა, რომ ერთ და იმავე დროს რკინის გზის მოხელეც იყოს და დამტვირთავი მოიჯარადრეც—ეს თვით მკითხველმა განსაჯოს. ამ საბით კასირმა შეიხელიდა თავისი არტელის საშუალებით ექვსასი ლერი ჩვენი ბოჭკის ხე. თითამეტ ათასზე ეს იხამს სწორით ხუთ პროცენტს (5/100). ახლა წარმოიღვინეთ, რომ ჩვენ წლითი-წლობამდე ორ მილიონამდის ბოჭკის ხე ვეკვს გადასატანი, ამის ხუთი პროცენტი რომ ვიანგარიშოთ, აი, რა გამოდის: ბ-ნ შორაპნის კასირს უნდა მიეართვთ ჩვენ, ანუ უკეთ რომ ეთქვათ, უნდა წაგვართვას ასი ათასი ბოჭკის ხე, ანუ ასჯერ თუთხმეტი თუმანი, რომელიც შეადგენს თუთხმეტ ათას მანის. როგორც გინდათ, ისე იფიქრეთ, ასეთი წეს-წყობილება იმ რკინის გზაზე, რომელიც ირავსება სახლმწიფო რკინის გზათ

და რომელმაც უნდა ხელი შეუწყოს მთელი კავკასიის აღებ-მიცემობას და ათასწორ მრწველობას, წარმოუდგენელია. ეთნოგ, ადგილობრ-ემა რუსულ-მა გაზეთებმა გადასტამბონ ეს ჩემი იერგიადა, რომ ქვეყანამ შეიტყოს, თუ რავეარი მოხელეების ხელშია ამიერ-კავკასიის კომერციული მოძრაობა. ყოველსავე ამას, რაც აქ არის გამოქვეყნებული, საჭიროებისამებრ უტყუარი საბუთებით დავამტკიცებ.

წინათვე ვიცი, რომ შორაწანის კასირი და მისი უფროსებიც თავის ვასამართლებლათ მიაწებნიან სატარიფო წეს-სრიგს, ერთმაც რა კი მთელი ვაგონები იტვირთება მასალით, ვაგონობით უნდა კიდოთ ფულიო. მერე ქვა-გუნდით რომ ტვირთენ ვაგონებს და ზოგჯერ ორას ორმოცდა ათ ფუთზე მეტი ჩაღს ვაგონში, რატომ მაშინაც ვაგონობით არ იღებენ ქირას, არანედ ფუთობით?.. იმიტომ რომ მაშინ ფუთობით ქირის აღება უფრო ხელსაყრელია, სასარგებლოა რკინის გზისთვის. გამოდის, რომ თვით იმავე სატარიფო წესს, რომლითაც ჩვენ წინააღმდეგ ახლა იბრძვიან, მაშინ განზე ადგებენ, იმიტომ რომ სასარგებლოთ არ ხედვენ. თუ ასე არ არის, მაშ, რატო მოხდა, რომ ქვა-გუნდის მწარმოებლებს ამ წესისით რკინის გზის გამგებამ ათას თუნობით დაუქირა ფული და უკარ ალარ ამღვეს? მწარმოებლებს დღესაც სიდავიდარბობთ აქეთ ეს საქმე, გზათა სამინისტროში უჩივლიათ, მაგრამ ჯერ კიდევ საქმე არ გათავებულა. გამოდის, რომ ამიერ კავკასიის რკინის გზის მოხელენი, როცა უნდათ, არაქელ ივანიჩები არიან და როცა უნდათ, ივან არაქელიჩები.

ყოველივე ამ გარემოებებთან ცხადათ ჩანს, რომ რკინის გზის მოხელენი სხვა-და-სხვა ანგარიშების მიხედვით მწარმოებლებს და აღებ-მიცემობის კაცებს, რომელთაც საქმე ჰქონიან ოდესმე რკინის გზის მოხელეებთან, მუდამ უდღიერათ ეპყრობიან და ამ გზით ავერხებენ საზოგადოთ ვაჭრობა-მრწველობის საქმეს მთელ კავკასიაში. დროა ასეთს უწყსოვბას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს უზენაესმა უფლებამ.

ბ. წარუთელი.

სხვა-და-სხვა ამბავი.



ურდიან გეწერენ, რომ იქ, განსაკუთრებით ჯუმათის და ძიძითის სოფლებში, 2 გიორგობისთვის მოსულა თოვლი თითქმის ნახევარი საყნის სიმაღლე. ასეთი შემთხვევა გურიაში მეტის-მეტათ იშვიათია, რომ გიორგობისთვის დამდვს თოვლი მოსულიყოს და კიდევ ასეთი დიდი. ამი-

ტომაც ხალხი მოუშნადებლათ შეხება ამ იშვიათ მოვლენას. ბეგრს ყურძენი არ დაეკრიფა, ბეგრს შეშა არ მოგზნადებია. ხელომოკლობას გარდა, სხვა დიდი ზარალიც არის: აქაური თოვლი ერთობ მძიმეა და ამისგამო ხენილი, რომელსაც ჯერ კიდევ ფოთოლი არ ვაცივინოდა, სულ დამტვრია.



ძალიან განსაცდელში არის ჩაგარდნილი ქალების საკვირაო სკოლა, რომელსაც ხელმოღვენელობის მარიამ სუფელუკიანცისა (არღლუთაშვილის ქალი). სანამ ქალაქის სახელოსნო სკოლის შენობაში იყო, მოსწავლეები—ქართველები და სომხებიც ბლომათ დიარებოდენ და სწავლაც რიგზე მიდიოდა, მაგრამ სახელოსნო სკოლამ ეს ორი წელიწადია თითონ გამართა ვაყებისათვის საკვირაო სკოლა, რე ქალების სკოლა კი დარჩა უბინაოთ. მართალია, ქალაქმა უარი არ უთხრა და დაუთმო მარტურეთის სკოლის შენობა, მაგრამ ამ სკოლის მასწავლებელ ქალმა, ვანოლიფეისამ, დღე ჩაუშწარა და იმდენი ეცადა, რომ წრეულს გამოეყარა მოსწავლეებიც და მასწავლებლებიც. ახლა წრეულს ენკენისთვის აქეთ ეძებენ შენობას, რომ კვირაობით ორიოდ საათის განმავლობაში უსასყიდლოთ მსურეულ ქალთა ასწავლონ წერა-კითხვა, მაგრამ ეერა ვააწყეს რა. დროებით უნდლდათ სოლოლაკის ქალაქის სკოლის შენობაში მოათავსებულ იყვენ, სკოლის კომიტეტმაც ნება დართო, მაგრამ აქაც ბეღმა უშტყუნა. მასწავლებელმა, ფირუშოვამ, კვირას კარები ჩაეკეტა და არაფერ არ შეუშვა. ღმერთო, დავეისენ ამ გვარ მასწავლებლებისაგან!



საშუალებით ხელმოკლე, მაგრამ მკვირცხლი ოზურგეთი ცდილობს ცოტათი მაინც დააკაყოფილოს თავისი შეიღების სწავლის წყურვილი. ის ამჟამათ ცდილობს დაარსოს პროგინაზია, მთავრობა დაეკეთოს ქალაქს: რა მონაწილეობა შეგიძლიათ მიიღოთო. ქალაქის საბჭომ გადაწყვიტა, თუ პროგინაზიას დაგვიარსებენ, ყოველ წლივ გადავდეთ 2,000 მანათი და გარდა ამისა, დავუთმოთ შენობისთვის საჭირო ადგილიო. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ მასრაც ხელს შეუწყობს საქმეს და სავრთო ძალით შეუძლიათ შენობაც ააგონ სკოლისთვის. კარგი იქნება, გურისი მოღალეეებმა მიაქციონ ყურადღება ქალთა განათლებასაც. საჭიროა ამ საქმისთვის მეტი ცდა და თავის გამოღება.



გიორგობისთვის 13 თბილისის ოლქის სასამარ-

თლოს დროებით განყოფილებამ გააჩნია გარში თავ. ნ. დ. დიასამიძის მკვლელობის საქმე, როგორც ე. ციხ, თავ. ნ. დიასამიძე მოკლეს მისივე სოფლის მცხოვრებლებმა. მიზეზი მკვლელობისა იყო მუდმივი დაეა სოფლებების მამულზე და მის სარგებლობაზე. ოლქის სასამართლომ გადაუწყვიტა ოთხ ბრივლ გლგხს, რომელთაც მიეღოთ მონაწილეობა მკვლელობაში, ყოველი ღირსების ახდა და ვაგზუნა კატორგაში ათ-ათი წლით.

„ახალ მიმოხილვას“ ატყობინებენ ქუთაისიდან, რომ 13 გიორგობისთვის ოლქის სასამართლომ გააჩნია იულიანე შარაშანიძის საქმე. შარაშანიძეს ბრალდება ბათუმის მოპირებელი მოსამართლის შეურაცხყოფა სიტყვით და ხელის შეხებითაც. შარაშანიძეს გადაუწყვიტეს ორი წლის საპრობიღეშო ყოფნა და ჩამოართვეს ზოგიერთი პირადი უფლებანი.

მათგრობას შეუწყნარებია ქართლ-კახეთის საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს შუამდგომლობა ღ გადაუწყვიტა ვადალდას ხაზინიდან სამრეკლო სკოლების შესანახათ 4,800 მ.

გამოვიდა ნოემბრის „მოამბე“, № XI. წიგნი არა ჩვეულებრივით თხელია. ეტყობა, რედაქციას შემოკლება მასალა.

ჩვენ მოგვივიდა ახალი ქართული წიგნები: 1, დილარიანი, ქმნილი სარგის თმოგველის მიერ მე-XII საუკუნეში, გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა. წიგნი მათავსებული ავტორზე შეკრებილი ბიოგრაფიული მასალა, შემდეგ მოქცეულია ნაწყვეტი ძველი თხზულებისა, მაგრამ რამდენათაც ეს ნაწყვეტი მართლაც ავტორის კალამს ეკუთვნის, ამას უნდა შესაფერი და ფრთხილი გამოკვლევა; 2, ეზოზის არაკები, თარგმანი ბ. დავითაშვილისა, გამოცემა ჩითაშვილისა. ეს წიგნაკი ადვილი გასაგები ერთი არის დაწერილი, ღირს ერთ შაურათ. ჩვენი ჰზრით წიგნაკი ძალიან იაფია და სასარგებლო მოზარდ მკითხველთათვის.

სომხური თეატრი

ზომის მსახიობთა დანი უკვე შედგა. მათ შორის არის გამოჩენილი სცენაროუსი და დრამატურგი ადამ სარდანიანი-არეშტიანი, რომლის პიესები აწეწებენ ხოლომე სომხის სცენას. ხსენებულ დასში მონაწილეობას იღებენ რამდენიმე სცენის მოყვარებიც. ამ თვის ნ. ს პირველათ წარმოადგინეს სათავად-აზნაურთა შენობას თეატრში ადამ სარდანიანის ნ მოქმედებიანი ისტორიული დრამა „ყარაბაღის ეარსკვალეთა მრიცხველი“ ეს დრამა ყოფის რომანიდან არის ვადმოკეთებული, რომელმაც თავის მხრით ისარგებლა პლატონ ზუბოვის ნაწერით. აქ გამოყვანილია ყარაბაღის მელიქებს ერთპიანერთ შორის განხეთქილება და ბრძოლა; ამით სარგებლობს ფანა-ხანი, რომელიც ეითომ სომხის სამეფლათ მოადის, დეპარტიონება მთელ ყარაბაღს და აშენებს შუშის ციხეს.

წარმოდგენამ კარგათ ჩაიარა. ხოლოც ბლომათ დაეწრო, რადგან ადგილების ფასი გაიანფეს.

ტ. — დ.

ქუთაისის მატინე

ქუთაისში ხშირათ საყურადღებო ამბები ხდება — და ჩვენი ცნობების ისტორიისათვის საჭიროა მათი აღნიშვნა.

ბერეს მიემართე ამ საგნის შესახებ და ეკითხე, რატომ არ იღებენ კალამს ხელში და არ უზიარებენ ქართველ მკითხველებს ქუთათურ ამბებს. მაგრამ ყველამ პასუხათ „სხვა-და-სხვა მიზეზები“ დაასახელა.

ამ „სხვა-და-სხვა მიზეზებს“ რომ ჩაუთვლიოდ, ეს უტყუარი დასკვნა გამოვიყენე: ზოგმა იმიტომ უარყო წერა, რომ ჩვენ ექრანალ-გაზეთებში თანამშრომლობა არავის ნივთიერთ ხელს არ მისცემს. ამა, რა თანხა უნდა შედგეს დაბეჭდილ სტრიქონის ორი, თუ სამი კაპიციანა?!

ამეგარი შრომა განსაკუთრებით არ არის ხელსაყრელი ჩვენი „აბრუშკაებისათვის“, რომელნიც ყოველ ჩვენს საზოგადო საქმეში როგორღაც გულგრილათ ბძანდებიან: „არ გვცალბაო!“ ამა, ერთი მიეიდეს მათთან ენიმე „კლიენტ“ და „აპელაციის“ დაწერა თხოვას, თანაც წითლიანები დაანახეს! უნდა შეხედოთ, რა მადა აეჭვრებათ და როგორი ხალისით ტაცებენ კალამს ხელს!.. არ ვამტყუნებთ: ამა, რით გამოქვიონ ორო-ორ სართულანი სხვლები მითავარ-მითავარ ქუჩებზე?..

მეორე მიზეზი ამ ვაგბატონების მხრით ქართულ მწერლობისადმი უყურადღებობისა ის ვახლავთ, რომ (ჩვენს შორის კი დარჩეს!) ქართულ ენის ცოდნაზე მყარალათ ბძანდებიან... მაგრამ ამას თავი დავანებოთ, მეტადრე — რადგან ისინი ამაში არაოდეს არ გამოტყდებიან... რა ეუყათ — მაგიერათ, თქვენს მზეს ვფიცავ, წყალივით იციან აპელაციას!..

ეგებ „დობტურებმა“ იკისრონ ეს საქმე მეტეი, ფიჭიქრე... მაგრამ ეს ფიქრი ჩემი გამოუტყველობის ნაყოფი იყო: გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ „დობტურებს“ იმისთანა წერილმან საქმისათვის, როგორც ქართული მწერლობა, დრო სრულიად არ მოეპოვებათ: ისინი დიდიდან შუალაშემდი ეტლში სხედან და პაციენტებთან დაბმანდებიან...

სანიღისს ქვეშ რომ დგებთ, უკეთესი საქმე რაღა იქნება, რომ ავითმოყვები ხორციელ ტანჯვებისაგან გაათავისუფლოთ და მათი ჭირისუფალნი სულღერ მწუხარებისაგან!.. ერთი გარემოება კი, ვითარცა მემბატინემ, სინამდვილით უნდა აღენიშნო: პატრიცემული ესკულაბები ყოველთვის იმისთანა ოჯახებისკენ მიისწრაფიან, საიდანაც კი დიდ ლუკმას მოვლან... მაგრამ ნურც ამათ ვაგუფუყუნებთ, თუ გიყვარდეთ! ახა, რა წყაროებით გაისტუმრონ ეტლები და რით ამართონ ცამდის ეკლარის თლილი ქვის სახლები?!

რაც შეეხება ქართულ ენის ცოდნას, რათ უნდა მოეთხოვროს მათ ეს ცოდნა, თუ კი არ სჭირათ?! სამაგიეროთ წყალივით იციან ჰორაკის და ციცირონის ენა, — ხშირათ წაიკითხებთ იმათ თხზულებებში: „კალი იოდატი, კალი ბრომატიო“ და სხ.

ერთმა გურულმა ასე იოხუნჯა ამას წინეთ: ეილცამ იეთხა, რა არის, ეს დობტურები რომ წერენ ხშირათ „კალი და კალიო“-ო? — „რაი და მეფთიო-ქეებს უთოლიან: თქვენ ჭირისუფალი მოკალით წამლების სიძვირით და ჩვენ ავითყოფს მოკალეთ უხეირო წამლების გამოწერითო“ — უბასუხა გურულმა.

წამლის ხსენებამ გაბახსნა — და ბარემ იქვე მოვიყვან ერთი გურულის მიერ ამ სიტყვის ფილოლოგიურათ ახსნას. ეილცამ იეთხა, საიდან წარმოადგება სიტყვა „წამალიო“? — საიდან და წა მალი, ე. ი. წადი მალიო! ძველი ჩვენი აქიმები სატყეარს ეუბნებოდნენ წა მალიო, და მართლაც კურნადენ ავითყოფებს, და ახლანდელი დობტურები ავითყოფებს ეუბნებიან: წა მალიო, და გზაენიან კიდევც საიქიოს, — იოხუნჯა გურულმა...

სხეებსაც ბერს ვკითხებ, მაგრამ არაენ მისმინა, რადგან, კვალად მოგახსენებთ, ქართული ენა მოღაში არ არის — ამ ძალმოპირებობის საუკუნეში, მეტი გზა ვერ ვიპოვე, პატრიცემული რედაქტორო, და ისევე მე ვკისრულობ ამ უდაღურ შრომას.

რა კი ქართულ ენაზე მომიხდა საუბარი წინასიტყვაობაში, ჩემს მატინაშში პირველათ აღენიშნა ერთ გარემოებას, რომელიც ჩვენს მრავალტანჯულ ენას წეებება.

ქუთაისის ერთ დაწესებულებაში ორ მოსამსახურე პირს დასვენების დროს ქართულათ გაუბამთ

ერთმანერთში საუბარი. ამათვის ყური მოუკრავს ერთ ქართველს, რომელიც ამ დაწესებულების ერთი ზედამხედველთაგანია და გამწყრალა: როგორ თუ თქვენ აქ ქართულათ ლაპარაკობთ?!.. ქართულათ მოსაუბრენი შებმიან პმ დირსეულ უფროსს და ძალიან შეუღანძღაეთ.

ქუთათურს მემბატინე.

რა ადგრები უჭირავს ფოლოკლორში ზღაპარს?

(დეკანოზის ლექციის გამო).



წინდელ დროში ზღაპრებს უყურებდენ, როგორც სასიამოვნო გასართობს, გულწრფელ ფანტაზიის ნაყოფს. მაგრამ დრო და ქამი იცვალა და ზღაპარსაც სხვა თვლით უხედდეს. რასაკვირველია, უხედდესო, რომ ვამბობთ მხედველობაში გვეყვს ნამდვილი მეცნიერი, დღესაც არა ერთი ფსევდო-მეცნიერი მოიპოვება, რომლის წარმოდგენით მთელი კაცობრიობის ისტორია არის კალენდლსკობი, რომელიც თავის ბრუნვაში ხან ერთ გმირს ამოაყოფიებს თავს, ხან მეორეს. ამისთანა გმირთა ცხოვრების აწერილობის გრაფა საისტორიო მასალა თუა, თვარა ისტორიის მიანც არაფერი აცხა, დღეს ისტორიოა რომ იტყვიან, მხედველობაში აქეთ კულტურის ისტორია, — წარსულის იმ ცოდნა-მოხერხებისა, რომლის მქონეც დღეს კაცობრიობაა. არ ითქმება, რომ აღამიანმა ეს წარსული კარგათ იცოდეს, რადგან კულტურულ განვითარების თვლით დიდი ხანი არ არის, რაც წარსულს უხედდეს. ამიტომ მასალაც ცოტა არის შეკრებილი ამ მხრივ და რაც შეკრებილია, ისიც შემუშავებული არ არის. მთელი კაცობრიობის ისტორია შეგვიძლია ორ დიდ ხანათ გავყოთ. ერთი ხანა არის ისტორიული, იმ დროიდან, როცა აღამიანმა უკვე გარკვეული გზა შეიმუშავა, მწიგნობრობა შემოიღო და დატოვა წერილობითი ნაშთი თავის არსებობისა. ამ ხანის ასე თუ ისე შესწავლა კიდევ მოსახერხებელია, რადგან მასალაც მოიპოვება შედარებით და დროც მოკლეა, რაც აღამიანი ისტორიულათ არსებობს. მარა არის მეორე ხანა, ისტორიის წინაღობინდელი, რომელიც, ვინ იცის, რამდენ ასი თას წელიწადს გრძელდებოდა, მაგრამ რომელზედაც ჩვენ თანამედროვე წერილობითი მასალა არაფერი გვაქვს. დაგვრჩენია მხოლოთ ორი ნაშთი. ერთი არის სხვა-და-სხვა პირვანდელ-დროინდელი იარაღი და სამხარეული-სახალის ნაშთები (мушкетеры утробы) მეორე კი თვით ჩვენი ტვინია, ჩვენ მცხსიე-

რობაში დარჩენილა ამ მიუწოდებელ დროის ნაწარმოებები აღმართის გონებისა, ეს ნაწარმოებები არიან ზღაპრები, მიტები, გამოცანები, შელოცვანი და სხვა. ბევრ ამ ნაწარმოებზე გავლენა ჰქონებია დღევანდელ კულტურას, მაგრამ ეს გავლენის კვალი მეცნიერის შემუშავდა მოაცილობა და მაშინ დარჩება წმინდა, ხალხის ხალხის ნაწარმოებისა. ამ წმინდა, ყოველ კულტურულ გავლენის გარეშე მეორე ნაწარმოებთა კრებას ჰქვია საზოგადო სახელი — ფოლკლორი. ფოლკლორის შესწავლა დღეს იმდენათ დიდ მნიშვნელოვანათ იჩინათ, რომ ინგლისში, ბელგიაში და სხვა ქვეყნებში სახალხო ნაწარმოების შესაკრებათ და შესასწავლათ შემდგარია მთელი სპეციალური საზოგადოებანი, ამ საზოგადოების წევრათ ითვლებიან გამოჩენილნი მეცნიერნი, როგორც, მაგალი, ანტროპოლოგი ედუარდ ტაილიორი. ეს საზოგადოებანი ცდილობენ, სიჭარბით ჩაწერონ სახალხო ნაწარმოებები, რადგანაც მათი აზრით, დღეს მეცნიერებამ შეაჩერა ფოლკლორის განვითარება. თითონ ედუარდ ტაილიორი ამბობს: „მითის განვითარება შეაჩერა მეცნიერებამ. ის თითქმის მოკვდა და დღეს მას ნაჭერ-ნაჭერათ კუწავს ანალიტიკური დანა მეცნიერთათა“. რატომ აქვს ასეთი დიდი მნიშვნელობა ფოლკლორის? ეს მისი დიდი მნიშვნელობა ჩანს მის საზოგადო სახითათ. ყველასთვის ცხადია, რომ ერთ და იმავე მიზეზს: ერთ და იგივე შედეგი მოჰყვება. აღმართის განვითარები მოქმედება, მისი ჰსიხოლოგია აშენებულია მის გარეგან პირობებზე. თუ პირობები ერთგვარია, შედეგიც იმავე ხასიათის იქნება. იყო ისეთი საფეხური აღმართის განვითარებისა, როცა აღმართი ისე გაცალკეებით, პატარ-პატარა ოჯახობით იყო ცხოვრობდნო როგორც დღეს, არამედ შეკრებულნი იყო ერთათ მთელი თემი. ამ თემს ყველაფერი საერთო ჰქონდა, საჭმელიც და სასმელიც, ტანთსაცმელიც და სახლიც. ამისთანა თემის წევრში თემური გრძობა ძრიელი იყო. მისი პირადი ხასიათი და მისწრაფება სრულიად ქარწყლებდებოდა საზოგადო იდეალში და მისწრაფებებში; ასე რომ, შეგვიძლია ვთქვათ, თემს ერთი გული და სული ჰქონდა. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ თემის ყველა წევრებს ერთგვარი ტენიონი, ერთგვარი ნიჭი ჰქონდა. სრულიად ახარა, მაშინაც იყო ნიჭი, მაგრამ ეს ნიჭიერი კაცი თავის შემოქმედებითის ძალის საგნათ იჩინებდა საზოგადო მოტივებს, რომელიც ყველასთვის საინტერესო იყო; შემდეგ მისი ნაწარმოები გადადიოდა ერთიდან მეორეში. ამით კიდევ უფრო დაეცობოდა თემური ხასიათი. ფოლკლორსაც თვისი ევოლიუცია, ანუ განვითარება აქვს. პირვანდელი აღმართის ჰსიხოლოგია იმით არის შესანიშნავი, რომ ის თავის თავს, ინდივიდუუმს, თავის აგებუ-

ლობის ფუნქციას, მოქმედებას ვერ არჩევს გარეშე ბუნებისგან. მას ჰგონია, რომ ბუნება მასვეით ცოცხალია, მასვეით ფიქრობს, რომ ბუნებას მის გაქიერებაში ლებულობს მონაწილეობას. ტაილიორის სიტყვით, თავდაპირველი მიზეზი იმისა, რომ აღმართის ყოველდღიურ ცდას ვარდაქმნი; ზღაპრულ ამბათ, არის პირვანდელი კაცის რწმუნება, რომ მთელ ბუნებას ვაკოცხლებულიყო. განუყოფებელ თემებისთვის მზე, მთვარე, ვარსკვლავი, ხე და მდინარე, ღრუბელი და ქარი არიან ცოცხალი სულიერი არსებანი, თითოეულს ცალ-ცალკე თავისი სული აქვს. ისინი ცხოვრებენ აღმართისა და ცხოველებსავეით და ასრულებენ მათზე მინდობილ საქმეს. ასე რომ, როცა ჩვენ დღეს ზღაპარი მიგვანჩნია რალაც გამოვანიფიკით, არა მართლათ, პირვანდელ აღმართის თვალში იგი ისეთი სერიალური და ნაძველი იყო, იმას, რასაც ამბობდა ზღაპარში, ყველაფერი რწმუნდა. შესანიშნავი ის არის, რომ ზღაპრების ხასიათი ყველა ხალხისთვის ერთი. ეს ახსენება იმით, რომ ჰსიხოლოგიური კანონები კაცობრიობაში ყოველგან ერთგვარია, კულტურა ერთი გზით მიმდინარეობს. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ზღაპრები ყველა ხალხს ერთ დარჯავებ ამოსხული ჰქონდესთ. არა, ყოველი ზღაპარი შეიძლება დიუკო ცალ-ცალკე მოამენტებათ, ინციდენტებათ. აი, ეს ინციდენტება საერთო. მაგალითათ: კვიროსის შესახებ დარჩენილა ამბავი, რომ ის ვაზარა ძალში თავისი ძუძუთი; რომიველებს კი რწმუნათ, რომ მათი ქალაქის რომის დამუჭუნებლნი, რომული და რემი, ვაუზნია ძუ მეგლს. აქ ამის ხასიათი საზოგადოა, ორივეს ცხოველი ზრდის თვისს ნასით. განსხვავება ამ აზრის გამოხატავა, ასე რომ ჩვენ საერთო, საზოგადო უნდა ვეძებთ ზღაპრის ხასიათში და არა მის დასურათებაში. დასურათება დამოკიდებულია ადგილზე. ეგვიპტელი გველ-ვეშას ამოიყვანს თავის მდინარე ნილოსიდან, ქართველი შავი ზღვიდან და სხვა. თავდაპირველათ აღმართი სრულიად ბუნების ხელშია, მის ძალებზე ლაპარაკობს, მაგრამ შემდეგ იგი ერთადდება. რამდენათ თვითარლება, იმდენათ უფრო ცდილობს თავისი თეორიების, თავისი ისტორია ახსნას, მაშინ ის ზღაპრებს გამოიყენებს ამ საქმეში, იგი ზღაპრულათ ხსენის ერის წარმოშობას ღმერთებისაგან. მაშინ ზღაპარს ფარგლი უფიქროვდება, იმას ეძლევა გარკვეული მიზანი. ამისთანა ზღაპარს ქვია მითი. ბევრ ზღაპარს აქვს იდეალური ხასიათი. მასში აღმართი გრძობს, რომ იგი ოდესმე გაიმარჯვებს იმ ძალებზე, რომლის ბრკველებში დღეს ჩავარდნილა. ამიტომაც იმის გამო ჰყავს ისეთი გმირები, რომელნიც, თემსკადლდ გაქირვებას, ეთავაღებს გამოხეილან, მაგრამ

შემდეგ მაინც ვა-მარჯვენ. ამისთანა გმირების ვა-
მარჯება პირუანდელ ადამიანისთვის იმედია, იგი მას
აზნეუებს, ძალას უმატებს მტერთან საბრძოლველათ.

მ. ს — მე.

გ ი ც ი ნ ი ა ?

რომ ვინცნო, მაქვს ვი რამე
საცინაწი, საღვინაწი?..
გული მიკერს საძიოთა
და ცსოგურა: მატკბობს წუნაწი?..
სულაც არა!.. და შირ აქეთ
დღე მდგია გასაჭირი...
ვიტანეუბი ჩემით ისე,
რომ სახსათ ვერც ვი ვუვირი!..
რც ვიუვი, ის აღარ ვარ...
არც რას მარტებს მის ხსენება;
მისნუ ქალს მით ვინ აქებს,
რომ დედა ჭეუხს მას შეენება?..

ან მე რა ვარ თავის თავად?
გულ-კითილი, უწეინარი,
ზარბატი და უმეცარი,
უსრუნევილი და მინარაი!..

სსკებს ჩამოგრჩი, დეკეითილი,
დამისუსტდა მე ძალ-ღონე...
ჟამთა ცრიალს და მისს წესებს
დაგემორჩილ-დაგემონე...

დაგულურდი, დაგასუნდი,
შეგეპენი შესაბრალი...
აღარ მიჭრის, საჯალალოთ,
აღარც უური, აღარც თვალაი!..

ერთი მზარგეს, მეორე მგლეუხს,
არგისა აქვს ჩემი რიდი,
აირაა ზნე და წესი,
გაპატონდა ცრუ და ფლიდაი!..

გვრძნობ და შესმის უკვალ ესა,
გასაჭიროსაც ცნადათ ესედავ.



მას მაინც შეგძობლავს
ვერდიუბი, ვეღარ ვეუდავ...

ან ვი როგორ შევეძობლოს,
როცა არ მაქვს იარაღი...
და შეუბღვრად სამარტყინო
უშეცრების მასის დალი!..

მე ვი მაინც გულს არ ვიტებს:
ჩემ წინა მომავალი!..
გულ მდგინეთ შეგუდებო,
რომ მოკებნო გზა და ვედალი!..


გავღვიძე, გავფხინდელიბი,
გავტარებუბი, როგორც რვალი!..
ვეღარ მომძღლის, ვეღარ ვამტებს
მამინ შირი და ვერც ვალი!..

მამ, რას მარტებს, გავაშინრო
ან ტირილი, ან სიცილი?
დრო მკინათ დიხს, არ დაგვარგავ,
ვიმეუშავებ თავ-დახრილი!..

ფანდი.

ა ტ ა ლ ი ა .

შატობრინი იყო საფრანგეთის ერთი საუკეთე-
სო მწერალთაგანი ამ საუკუნის დასაწყისში;
იგი იყო პოეტი, ფილოსოფოსი და პოლიტი-
კოსი. მან დააარსა საფრანგეთის ლიტერატურაში ახა-
ლი მიმართულება რომანტიკული ხასიათისა. ერთი
საუკეთესო მისი თხზულებათაგანი არის რომანი სა-
ხელით „რენე, ან ენებთა შედეგი“, რომელშიაც
გამოყვანილია, თუ რა ვატყუებამდე მიღწევს ენები-
თი სიყვარული თვით მახლობელ ნათესაობაშიაც,
როდესაც ეს სიყვარულის ქარცეცხლი აღძრულია.
ამ რომანის ქალის ტიპს ერქვა ატალია და კაცის ტიპს
რენე. მეტათ თავგანწირულათ არის აწერილი ამ ორი
არსების სიყვარული ერთმანეთ შორის. ჩვენ სურათზე
არის გამოსახული ის მომენტი, როცა ატალია კვდე-
ბა თავის საყვარლის რენეს ხელში, ამ რენეს ზოგი-
ერთები აღარებენ ჰეტეს მიერ გამოყვანილ რომა-
ნიულ ტიპს ევრეტრის.





3
0
3
0
0

სიკეთის განმარტება

(ზნეობითი ფილოსოფია გ. ს. სოლოვიოვის).



აწებთ „კავკაზის“ № 202-ში დასტამბულია ექ. მოსტოვიჩის მიერ საყურადღებო წერილი, ახლათ გამოსული წიგნის ე. ს. სოლოვიოვის ზნეობითი ფილოსოფიაზე. არა მგონია, საინტერესო არ იყოს ამ ღრად საყურადღებო ახალი გამოცემული წიგნის შინაარსი რომ მოკლეთ მოგიყვანოთ. ბ. ს. სოლოვიოვის წიგნშია მოყვანილი სამი დასაბამი ეთიკისა:

სირცხვილი (სქესთა შესახებ), სიბრალული და საქციელი, ანუ კრძალულობა (pietas). თუ ეს ორი უკანასკნელი დასაბამი ბერაო თუ ცოტათ საერთოა კაცთა ჭ პირუტყვთა შორის, მაგირათ პირველი, ესე იგი სირცხვილი, არამც თუ შეადგენს მარტო კაცის თვისებას, არამედ ამტკიცებს დამოუკიდებელ უმაღლეს ხარისხს ცხოველთა სამეფოში, რომელთაც სირცხვილისა არ იციან რა. კაცი, როდესაც გრძნობს სირცხვილს საკუთარი ორგანიზმის ბუნებითი ალღელების დროს, სწორეთ მითი ამტკიცებს, რომ ის არ შეადგენს ბუნებით მარტო მატერიალურ არსებას, არამედ რაღაც სხვას და უფრო უმაღლესს რასმე. თუ მე მრცხენია ჩემივე მატერიალური ბუნებისა, სწორეთ ამითვე ვამტკიცებ, რომ მე სრულეთით. მას არ შეუადგენ, რასაც ჩემი მატერიალური ბუნება შეუადგენსა—სამართლიანთ ამბობს ბ. სოლოვიოვი. მიუხედავთ სქესთა წარმოებებს ბუნებითი სინამდვილისა, კაცს, მისგან გატაცებულს, მიწაც რცხენია მისი, როგორც თავისი სულიერი, უმაღლესი ბუნების შეუფერებლობისა.

ღარეინის სიტყვით უპირველესი უსირცხვილობა კაცის ეითომც წარმომადგარიყოს წარმომშობელ ორღანობის გაღმერთებთ, ხოლო ბ. ს. სოლოვიოვი საფუძვლიანთ ამტკიცებს, რომ თვით ეს რწმენა, თავყანისცემა, კულტი არის გამღმერთებელი გრძნობა სირცხვილისა. განზრახული, ძალა-დატანებული, სარწმუნოებითი პრინციპამდის აყვანილი, ურცხეობა, ცხადია, წინათვე ცხადთ გამოხატავს სირცხვილის არსებობას. აგრეთვე მსხვერპლთ მირთმევე კერპების წინაშე მშობლების მიერ თავის საკუთარი შეიღებისა სულაც არ ამტკიცებს შეუბრალელობას, ანუ მშობლიურ უსიყვარულობას, არამედ წინასწარ გამოიხატავს ამ გრძნობას.* რა თქმა უნდა, პირველი მიზანი ამ მსხვერპლბობისა ის იყო, რომ მშობლებისაგან იხოკებოდნენ ისინი, რომელნიც უფრო განსაკუთრებთ საყვარელნი იყვენ მათთვის. თუ ის, რომელიც მსხვერპლთ უნდა მიერთობით, არ იყო ძვირ-

ფასი შემწირველისთვის, მაშინ მსხვერპლს არავითარი ფასი და მნიშვნელობა არ ექნებოდა, ესე იგი, არ ჩათვლიდა მსხვერპლთ*. ამასთანავე ეითონ ჩვენნი უმეტესნი მგმატინეს სიტყვა „შერცხენა“ გამოხატავს—ერთ იმ ძველთაგანს, სრულიად ველური დროის სიმზნეს.

მეორეს დასაბამს ზნეობისა ბ. სოლოვიოვი ხედავს სიბრალულის გრძნობაში, რომელიც შეადგენს ფესვს ეთიკურ მიმართობისას, არამცთუ ყოველი კაცის ცხოვრების უმდაბლეს მატერიალურ დასაბამთან, როგორც ის არის გამოთქმული სირცხვილის გრძნობაში, არამედ სხვა საზოგადოთ ცოცხალთა, იმს გეარ არსებებთან. გრძნობა სიბრალულისა, განსხვავებით სირცხვილის გრძნობასთან, რასაკირველია, შეადგენს მრავალ ცხოველთა თვისებას და ამიტომაც არ შეეხება ახლანდელ კაცობრიობის პროკრესს. მასასადამე, თუ უსარცხვილო კაცი ნიშნავს პირუტყვთა წოდებაში უარუქუცავს,—მით უმეტეს, კაცი შეუბრალეული იყავდება პირუტყვის უმდაბლეს წოდების მდგომარეობაში.

ამ ორ გრძნობას სირცხვილისა და სიბრალულისა, რომელიც აღნიშნენ ჩვენს ზნეობით მიმართობას, როგორც დაკავშირებულს მატერიალურს ბუნებასთან და აგრეთვე ყოველ გარემე ცოცხალ არსებებთან, ბ. სოლოვიოვი უერთებს კიდევ ერთს სამეის, რომელიც შეადგენს კაცის ზნეობით მიმართობას, არა უმდაბლეს მხარეს მის საკუთარ ბუნებასთან და მის გეარ არსებებთან, არამედ მისგან ცნობილ რაღაც უმაღლეს რაიმესთან, რომლისაც იმას არცა რცხენია, ვერც შეიბრალეება ჭ რომლის წინაშეც თავს მოვალეთ გრძნობს მხოლოთ საქციელობით მოაგყრას. გრძნობა კრძალულებისა შეადგენს კაცში ზნეობის დასაბამს სარწმუნოებისას. მეთ დღარეინის მიერ ცნობილია, რომ ეს გრძნობა მეტწილეთით ჩასახულია პირუტყვთა შორისაც. ის ამბობს: „გრძნობა სარწმუნოებითი გულმოდგინებისა არის ნამეტანი რთული, რადგან ის შედგება სიყვარულიდან, რაღაც უმაღლესი და საიდუმლო მოარჩილებიდან, უმეტესთ გრძნობიდან დამოკიდებლობისა, შიშისა, პატრიცის ცემისა, წარსულის მადლობისა და მომავალი სიკეთის იმედისა და იქენება, კიდევ სხვა ელემენტებისაგანც“.


ეს დაწყებითი გრძნობანი სირცხვილისა, სიბრალულისა და კრძალულებისა ბ. სოლოვიოვის აზრით გამოიკლევენ შესაძლო ზნეობთ მიმართობას ადამიანისას მასთან, რაც მასზე დაბალია, რაც მასთან ერთია და რაც უმაღლესია მასზე. მატერიალურ გრძნობაზე ამაღლება; თანაზირაბა ცოცხალ არსებებთან და თავის ნებით დამორჩილება ჩვენს გარემე

მყოფ ძალის წინაშე—აი, საუკუნო, შეურყეველნი დასაბამნი ზნეობითი კაცობრიობის ცხოვრებისაა—ამბობს იგი. შემდეგ, ავტორს ამ სამი დასაბამიდან ლორიკურათ გამოჰყავს ყველა დანარჩენი მოვლენიანი ზნეობითი ცხოვრებისა, ყველა ვერეთ წოდებული სათნოებანი, რომელნიც შეიძლება ეწინეთ, როგორც სხვა დასახე სხვა ამ სამი დასაბამისა, ანუ როგორც შედეგთი საერთო მოქმედების იმთ შორის ღ კაცის გონებითი მხარისა.

